დამტკიცებულია სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
2014 წლის 17 ოქტომბრის №7 სხდომის ოქმით

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

შევიდეს შემდეგი ცვლილებები ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში:

1. მე-10 მუხლის მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა შეადგენს საბჭოს წევრთა ¼-ს, დამრგვალება ხდება სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელთა სასარგებლოდ.“

2. მე-13 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ფაკულტეტის საბჭო შედგება 39 წევრისაგან, რომლის შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტის დეკანი, 28 წევრი აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან და 10 წევრი სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლობიდან.

3. მე-13 მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ფაკულტეტის საბჭოს არჩევნები ინიშნება ფაკულტეტის დეკანის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით.“

4. მე-13 მუხლის მეოთხე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „აკადემიურ პერსონალს შორის ფაკულტეტის საბჭოს წევრების არჩევა ხდება ფაკულტეტზე არსებული სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებიდან (კათედრებიდან), ყოველ სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს ჰყავს ფაკულტეტის საბჭოში ორი წარმომადგენელი. კანდიდატების დასახელება ხდება კათედრის სხდომაზე. კათედრის თითოეულ წევრს შეუძლია საკუთარი ან/და სხვისი კანდიდატურის დასახელება. ყოველ კანდიდატს კენჭი ეყრება ინდივიდუალურად. უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატი კონკრეტული კათედრიდან დადგენილი რაოდენობის შესაბამისად ხდება ფაკულტეტის საბჭოს წევრი. თანაბარი ხმების მიღების შემთხვევაში ტარდება განმეორებითი კენჭისყრა. განმეორებით კენჭისყრაში მონაწილეობენ ის კანდიდატები, რომლებმაც დააგროვეს ხმათა თანაბარი რაოდენობა.“